F 642

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეოცნებე ნიამორები

აპრილი

1919

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირიალობენ ლალის პეშვებით.
მზის ტევრების ნელი კალმასი.
ში ილეწება თეთრი ალმასი.
ალებს სვამენ აზარფეშებით.

ოთენთილი მძიმედ ვილ

კრიალოსანი

გრიგოლ როგბაქიძე	დიდი შუადღე.
პაოლო იაშვილი	ავდოშორცრეცი.
ტიციან ტაბიძე	2 აპრილი.
გრ. ჯაფარი	თეთრი ვარავი.
ლელი ჯაფარიძე	მაგარეშლიდან.
კოლაუ ნადირაძე	მალდასინი.
ვ. გაფრინდაშვილი	დაისი მესამე.
ივ. ყიფიანი	ანიქრაქეშა.
შალვა აფხაიძე	თეთრი სალამო.
რაჟდენ გვეტაძე	ბუზმაჯ.
შალვა კარმელი	მეფისაქალნი ცრაურეშში.
ინ—რე—ჟან	ნიამორეში.
ნიკოლოზ მიწიშვილი	ბმინდანიანი
ნ. ლ.	მთვარიან ღამის ჩრდილში.
სერგო კლდიაშვილი	მთვრალ საუმარით
ვ. გაფრინდაშვილი	სლეფან მალარმე.
ლადო გუდიაშვილი	ყდა (ნიამორეში)

რედაქტორი—ჯალიან გაფრინდაშვილი.

№ 2

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ როგაძიძე

დიდი შუადღე.

მზვარის წურბელნი სრიალობენ ლალის პეშვებით.
ყარამფილს აბნევს მზის ტევრების ნელი კალმასი.
ყვითელ ალმურში ილეწება თეთრი ალმასი.
მიწის მკერდები ალებს სვამენ აზარფეშებით.

ცხელ ნირვანაში მოთენთილი მძიმედ ვეშვებით:
ვით მდინარეში შეძირული ნელი კალასო,
ხელდება ჟინი ალესილი ქარვის კალოსი!
დიდი შუადღის ავხორცობით დავიგეშებით.

მწიფე მარცვლები ცვივა ხვეტის გამსკდარ ბოლწეულს.
თვლემის ბადეში აზმორებენ ყველა რიტმები.
ნათელი ჩქური ერთვის ვნებით სივრცის ძოწეულს.

ღვთის სიახლოვით მეწამულნი: ვიწვით; ვითვრებით.
რახსებ-შებმული ტყდება პანის სპილენძის კვერბ.
და სიყვარულით ბნედას გვაყრის მზის ავი ტევრი.

1918 წ. ენკენისთვე

პაოლო იაშვილი

ავტოპორტრეტი.

ამპარტავანი და ყოველთვის პირგაპარსული,
ბუნებით შავი, ხელოვნურად გათეთრებული,
ლამაზ რითმისთვის ერთის წუთით ჩაფიქრებული
ვამაყობ მითი, რომ არა მაქვს ვრცელი წარსული.

დამონებულ ხალხს შევაპარე სიტყვა თარსული.
ყოველთვის მელის მშვენიერი ქალთა კრებული.
მხოლოდ უალდის ყელსახვევით გაკვირვებული.
მათრობს გაშიში, სურნელება ძველი, სპარსული

საქართველოში არ იწამეს ჩემი დენდობა,
მაგრამ ბოდლერის ცივი ლანდი მე თუ მენდობა,
ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი.

მე მახალისებს მხოლოდ ჩემი salto—mortale
შევხარი მზესა, ვეტრფი მთვარის ყვითელ ხავერდსა
და რუსთაველთან გადავდივარ მე ალავერდსა.

1917

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიციან ტაბიძე

2 აპრილი.

ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი...
ატმის ყვავილით სისხლიანი სტირის აპრილი.
ყვითელ სატურნის უბედობით ავათ გამხდარი—
პიეროს სულიც საქართველოს კუზათ დახრილა.
უახლოვდება საუკუნის მას მეოთხედი,
ჰგონია, თითქო საქართველოს წინ დაიბადა.
საბედისწერო წუთს ელოდი, წუთო მოხვედი..
პიეროს წუთით წითელ ქუდში გაგარიბალდდა.
თავზე დამნათის ჩემ ქალდეას ყველა ვარსკვლავი.
ვანქის ტაძართან სალოცავათ მივედი მარტო,
მაშინ ტფილისმა კოშმარების გამიშვა მკლავი,
განვლილ ცხოვრებას ემაფოტი რომ აუმართო.
საკუთარ თავის და სამშობლოს ახალ შერცხვენის
ტანჯული ფიქრით სამუდამოთ მოვიქანცები.
ახ! მეგობრებო, ჩემი სული ჰვარტლია სხვენის,
ცრემლით სავსეა ჩემი წილი „ჩვენი ყანწების“.
მხოლოდ თქვენ იცით, რისთვის მტანჯავს ასე ტფილისი,
მისი სიბერე, მრუდე სახე და სიფილისი...

აპრილი 1918 წ.

გრ. ჯაფარი

თეთრი კარავი.

ოცნება თეთრი—ნაზი წუთი—და სალოცავად
ფირუზის ფიქრით ათოვლილი თეთრი კარავი—
ო, როცა, ძმებო, 'შემოდგომის ბილიკით წავალთ
ნაზ დატირებათ და საუბრათ დაგვიფარავენ.
უფალო, იყოს—იყოს ჩვენთან ეს ნორჩი ნდობა—
ნუ დაიძინებს ლოცვა დახრილ ქუთუთოებზე—
და მეჩვენება თეთრ კარავათ და სამშვიდობოთ
მე მოგონება ნისლისფერი—ის ფართო ეზო—
ძველი სახლები, მოწყენილი რომ ასე სდუმან
და ყვავილები—ყვავილები სათუთი, ნაზი—
ვინ დაგვიტირებს უკანასკნელთ ამ ქვეყანაზე
თეთრი ოცნებით—უცნაურით და ჩუმით—ჩუმით!
და ასე გვართობს ფერმიხდილი ეს საუბარი
თეთრ სიხარულში საოცნებოთ რომ მოგვეჩვენოს—
ო, ეს ლექსები, სუსტი, ნაზი მას დაუბარეთ
ვინც აქ თეთრ კარავს და მშვიდობას ჩვენ აგვიშენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელი ჯაფარიძე

მაცარიშლიდან.

დინ, დარი-დან,
დან, რე-ზე-დან!
ო, ჩქარა, ჩქარა, ოთქლმავალო და მემანქანე!
ველარ ვჩერდები შენს კარებზე და
საითმე სწრაფად გადამაქანე...
ფიქრიან ტყეში მეჩვენება ავი ლანდები,
თითქოს შეშლილებს მოურთვიათ იქ ვერანდები.
ო, ჩქარა, ჩქარა, მემანქანე! ნუ გვიანდები.
დინ, დარი-დან,
რომელ მხარიდან?
რის ნიშანი ხარ, ავის, კარგისა?
მაგრამ რას ვჩივი: ჩემი მარკიზა
დღეს იქ დავტოვე, იმ მხარეზედა.

რიონი
სვირი
აჯამეთი
აუ!! ყვირილა!!!
ნუ თუ ამ დაბამ ჩემი სული ააგვირილა?
ცეცხლიან ყვავილს დამწვარ გულში მაინც არ გრილა.
ხეები ხეზედ, ხეები ხეზედ; საითკენ, საით?
ო, მე თქვენს სირბილს ჩემს სიცოცხლეს უთანაბარებ,
განვლილ დღეებსაც კი ველარ ვგრძნობ და უცხოსავით
ყველაფერს წარსულს გაკვირვებას ერთს დაუბარებ.
სადმე სადგურია
სად მე, სად გურია?
მაგრამ თუ ნისლში არ მარხია ჩემი ფიქრები
და ჩემმა სხივმა ერთხელ მაინც ვერ ივარგისა,
ო! ეს ხომ ვიცი, რომ მზეზედ შორს ვერ გამიქრები
და მზის დახრისას მაინც გნახავ ჩემო მარკიზა!
დინ, დარი-დან
დან-რე-ზე-დან
ო, ჩქარა, ჩქარა, მემანქანე ნუ გვიანდები,
ფიქრიან ტყეში მაშინებენ ავი ლანდები.

ქუთაისი—თბილისი
ვაგონი № 15 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

ბალდახინი.

შევალ Notre-Damme-ში მოღუნული, როგორც იუდა;
დიდი ქუჩების ავხორცობით ტანდადაღული;
ვიცი, ვერლენი მონანებით აქ მოდიოდა,
რომ დიდი ცოდვა შეევედრა გადანახული.
შემომხედავენ წმინდანები დატვირთულ ცქერით;
აკანკალებით იმათ სახეს ჩავაშტერდები;
მლოცველთა ზურგებს ეფინება ყვითელი ფერი;
დავთვალე შიშით ქარვისფერი ქრისტეს გვერდები.
ისევ ღვთისმშობლის გაღიმებას გავეკიდები;
შევკადრებ მხოლოდ: „ქალბატონო, ახ ჩემი გული!..“
და თუ ავტირდი, მე მლოცველებს მოვერიდები,
რომ სხვაზე მეტათ არ ვეგონო მათ დაკარგული.
როცა ქუჩებში ნოემბერი დადის წვიმებით,
იქნება სცივათ მაშინ გამხდარ უბინო ძაღლებს...
თეთრ ბალდახინზე ქანაობენ სერაფიმები:—
მოასვენებენ მოქალაქეს ყველაზე ნაკლებს.
ვინ შეგვახვედრებს, ვის უნდებვართ, ვინ მოგვიგონებს?!
დიდია ღამე... ვინ გადახდის სახლებს სახურავს?
მხოლოდ პოეტი გაბრაზებით დაცლის სტრიქონებს,
და ჭლექიან ცოლს წაუკითხავს—ღმერთზე მომდურავს.
მივმართავ ჩემ თავს მონოლოგით და ვეტყვი ასე:
„თქვენ, სულო ჩემო, საცოდავო სნეულო ბავშო:
რისთვის არ მოგწონთ ეს ცხოვრება და სიძვირფასე?
წავიდეთ ერთად, ჩუმად ჩავსხდეთ მოთეთრო ნავში.
მე თქვენ ოქროს თმებს გადავვარცხნი იქ მორიდებით:
ჩაგაცვამთ კაბას, დაგიკოცნით მცივანა ფეხებს;
და თუ ქალაქმა გადაგვრეკა თავის დიდებით,
წავალთ და მტრედებს გადავუყრით პურის ნატეხებს.
გრამოფონის ხმა (უკვდავია მომგონი მისი!)
ჩვენ მოგვესმება სახლებიდან ნელი ხრიალით,
და თუ დაგვიდგა დღე მზიანი და სამაისო,
დაუვლით ლეკურს თავმომწონე ცეკვა-ტრიალით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან გაფრინდაშვილი

დაისი მესამე.

და ცის უფსკრულში აილეწა კაფე ლანდური:
ახალ პოეტებს გაუმართავთ ლურჯი კაბარე.
იწვის არღანი, იკლაკნება იქ ფისმანდური,
და ჩემი ცქერა მოჩვენებას კვლავ შევაფარე.
ანგელოზები სამართებლით პარსავენ ლოთებს
მსახურებს დააქვთ ოპიუმი მაღალ ვაზებით:
ისევ მედუზა ყავისფერი მათ ააშფოთებს,
ვინც ლექსებს ამბობს ტირილით და რუხ გაბრაზებით.
ლალის სიგიჟე, ყირამალა და ხარაკირი,
ჯამბაზობს კაფე და ჰაერში გადაბრუნდება...
ისევ დაისი ატორტმანდა, როგორც საკირე,
და ჩემი ცქერა ჩვენებასთან ბრძოლას უნდება.
რაშს შემოაგდებს მთვრალ კაფეში ლაღი მგოსანი
და ეს იქნება თვით პაოლო, თვით სხივოსანი;
ნისლიან ხალხში ის სონეტით გადავარდება
და მისი ტანი დამსხვრეული ტალღებს ბარდება.
ისევ მსახურებს ოპიუმი დააქვთ ვაზებით:
ლალის სიგიჟე, ყირამალა და ხარაკირი—
ვინც ლექსებს ამბობს ტირილით და რუხ გაბრაზებით,
მას მოიტაცებს მოდაისე უცხო ფაკირი.
და კიდევ ერთხელ გაფითრდება კაფე ლანდური:
სავსეა ჭაღი თავისმკვლელთა ავი ძორებით.
ისევ მეძახის გრიგალიდან მე ფისმანდური
და თეთრ სურდოთი მემუქრება განმეორებით.

1917 წ. 11 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ყიფიანი

ჯრიქრაქმა.

კვალ დ ზღაპრულად აფერადდა ქართვლის დიდება.
მხიარულ სიცილს აღარ შხამავს ფიქრი ზანგური.
ყიფიან გრძნობით სიკვდილისაც არ მერიდება.
სულში ანთებულ ჩირაღდანმა დაისადგურა.
სისხლში ათრთოლდა ჟინიანი ლხენა—სპარსული.
დღეს იმას ვმღერი, რაც არავის არ უმღერია.
კვლავ შემიყვარდა ეს ქვეყანა ცრუ და თარსული.
ჩემი თვალები დღეს მზესავით მშვენიერია.
სალამს არ ვაძლევ შეხვედრის ჟამს შავწარბა ღამეს.
ატმისფერ ბაგით ომებს ვუკოცნი ოქროვან აისს.
საზღვარი არ აქვს ჩემ სიგიჟეს და სითამამეს.
იალბუზიდან ვუხმობ ალპებს და ჰიმალაის.
სწრაფად დამიწყო აღტაცებამ ფრენა გედური.
ცხელი ფიქრები მიტაცებენ ფერად ლანდებით.
და თუ აქამდის სული მქონდა მე უბედური—
დღეს ტანს მიმშვენებს სიხარულის ბრილიანტები.

შალვა აფხაიძე

თეთრი საღამო.

მე შენ ნაზ სურათს, მოფერებით, წმინდა Maria,
ვატარებ ყველგან ავათმყოფი—ჩუმი დიდებით.
თითქოს ქვითინებს იდუმალი თეთრი არია
სათუთ ჩარჩოში, მე პიერო, რომ ვაკვირდები.
ჩემი ოცნება შენ მორცხვ ცრემლებს დაედევნება
და უცაბედათ წამომცდება „ახ, ჩემო Madame“
მოჩვენებაა ეს სიყვითლე, თუ მკრთალი ვნება?
მე შენი ცქერით დავითვრები როგორც თამადა.
გავიხმობ ცალკე შენ თალხ თვალებს ძვირფას ლორნეტით,
თეთრი დუელი სამუდამო გაიმართება,
არ ვიცი რომელს წაგვიღებენ ცისფერი ეტლით.
—მარად ქალწული, ზეციური ღიმილი კრთება,—
არ მომწყინდება სურნელ კვამლში მე სანთლით დგომა,
ნათელ სიზმრებში უშენობით არ მესვენება.
ნაირ ფერებში ითენთება თვით შემოდგომა—
ო, ლურჯ წარსულის სილამაზის—თეთრი ხსენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაულენ გვეტაძე

რ ე ვ ბ ა ლ.

ღარიბ ოთახის არ მამშვიდებს ღია კარები,
ჩემი ოცნება კეთროვანი—ფიქრებს აბანდებს.
დავდივარ მარტო და არავის არ ვეკარები,
როგორც შეშლილი ქვით დაეძებ ძველ შუშაბანდებს.

ღარიბ ოთახის არ მამშვიდებს ღია კარები.

ჩემს მეფურ პროფილს აღარ ჰშვენის ლალი, მარჯანი.
მოუსვენრობით გაუტოლდი უბედურ ციგნებს,
მაგრამ მაკუნტებს სიუძლურე ვით მემარჯანი.
საშიშ ღამეში ჩემი თვალი გზას ვეღარ იგნებს.

ჩემს მეფურ პროფილს აღარ ჰშვენის ლალი, მარჯანი.

დამტყდარ ლოცვებით შევიყვარე მე ვაზის ჯვარი.
მარტის ხასიათს ვერ მათვისებს სახე ატამის.
არავის ხიბლავს სითამამით დღეს ჩემი გვარი,
და დანანებით მუდამ მტანჯავს ცოდვა ადამის.

დამტყდარ ლოცვებით შევიყვარე მე ვაზის ჯვარი.

ჩემი ვარსკვლავი აღარ ბრწყინავს, ოდნავ აშუქებს,
ვით მომაკვდავი ბედს ვემდური გულის წუხებით.
ვეღარ ვთამადობ შაირებით ჯიბრში აშუღებს.
როგორც დავრიში ვიარები ძველი წუღებით.

ჩემი ვარსკვლავი აღარ ბრწყინავს, ოდნავ აშუქებს.

შალვა კარმელი

მეფისქალნი ცრაურებში.

დღეს განვიცადეთ ღვთაებრივი დანაკარგისი.
ვფიქრობ: პრინცესა უბედური რომ სიზმარშია.
ამაყ სეფექალთ შემოევლო შავად არშია:
მომკვდარა პანი, მეოცნებე ღამის მარკიზი!

ქრება გლოვილში ორეულად ორი ნარგისი.
მწუხარე დების ღრმა თვალები ცრემლთა ღვარშია.
ჩვეულო მგზავრო! ქალბატონი ძველ საყდარშია,—
ქალწულთ აჩრდილიც ხატს აშურებს—სარკის სარგისი!

ერთხელ ელოდა მათ იღბალი და სილამაზე.
ახლა ტირიან მოლოზნებათ დღეცვლილ მამაზე.
დააქვთ საფლავზე ხრიზანტემა, ხან აკაცია.

კარგი რომ ჩემში ნიღაბებით მამაკაცია,
და, ვიტან გრიგალს, სასიკვდილოდ გულს რომ აყუჩებს,—
თორემ ვიხჩობი და ვერავის ვერ ვთხოვ ლაყუჩებს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინ-რე-ᲣᲐᲜ

ნიამორეᲑი.

როს დაღალდება მზის ხელები ცხელ ტაშის ცემით,
და დღეც ჩაᲯდება დაქანცული მუქ სავარძელში,—
სხივთ აჰყვებიან ნიამორნი—ნაზ ატაცებით—
მაღალ მწვერვალთა ლაჟვარდოვან საბრძანებელში.
დათლილ ფეხებით—სრიალობენ და ნავარდობენ;
მოხდენილ ტანით ეხვევიან შუქროვან თმებში.
კენᲭები როკვით ეშვებიან ყრუ ნაპრალებში;
ჰაერის სერვით მძინარ კლდეებს ხშირად აკრთობენ.
მნათობი ცისა დასავლეთით მათ აცქერდება,
შეჩერებᲣული ერთის წამით ჩასავალ თაღზე,
უმალ დახატავს უცხო სურათს და აძგერ ᲔᲑᲐ;
განშორებისას ორ მაყვალ ცრემლს დაუშვებს ღაწვზე.
შორის ᲐᲛᲑᲝᲠᲘᲗ ცელქნი მნათობს ჩააცილებენ...
და უცებ, თითქოს, იდუმალსა რამეს ხვდებიან,—
მიმქრალ თვალებით უცნაურად განაზდებიან;
და დიდ-ხანს მდგომნი თვალთა სხივებს აციმციმებენ.
აგრე თავდება ცხელ ზაფხულის დღეთა პარადი,—
ვით დასრულება დიდ ნადიმთა—მოღლილ ზმორებით.
იმ დროს იშლება საიდუმლო ჰანგი მარადი,
და მას ისმენენ მხოლოდ ნაზი ნიამორები.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲘᲬᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲘᲐᲜᲘ.

საუკუნეში ერთხელ ქვეყანას მოევლინება წმინდანიანი:—
ცეცხლის ფრინველი, მთოველი ცოდვის და როგორც თევზი-წვრილტანიანი.
აითვალთვალებს ღამით მაღლობზე საყდრის გალავანს მგზავრი შორითი
და დააცხრება წვერმაღალ ნაძვებს, ვით მოწყვეტილი მეტეორიტი.
ძირს, დახავსებულ მუხის საყდარში შეშფოთდებიან სულ წმინდანები:
ისე იელვებს ხატებთან შუქი, ვით დამარცხებულ მტრის წინ დანები.
დამბლა ეცემა წმინდა გიორგის და გველვეშაპიც მოუჭერს რკალებს,
ხელთ გავარდება მარიამს შვილი და პეტრეს შიში ააკანკალებს.
ქრისტე წამებით ᲯᲯვარს გადატეხავს, გაიშვერს ხელებს ცხელ ლურსმანებით,
გუმბათზე თვალი დაიხუჭება, გაციებული გველურ ზმანებით.
თუ ვინმე ამ დროს გაივლის ახლო—თავს დაემხობა ცეცხლის სვეტები,
ავი სახადით დასნეულდება და ᲭᲙᲣᲐᲡ მოსწყვეტს კუპრის წვეთები.
დილამდე გასტანს საყდართან ბრძოლა და რიჟრაჟამდე სული ცდომილი
ავ მოჩვენებით აწვალებს საყდარს, დაუძლეველ და მიუწდომელი.
დილით გაქრება ცოდვის ფრინველი, კივილით ღამეს გაეკიდება.
ცეცხლის ნაკვერცხლებს დააყრის ტყეებს და ტყეებს ცეცხლი წაეკიდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ლ.

მთვარიან ღამის ჩრდილში

ხუთი ცხენოსანი, ოამდენიმე ქვეითი, და სამი ურემი ბრუნდება დღეობიდან. მოყვარე კარგათ დაუხვდა სტუმრებს; ყველა ნასიამოვნები მიდის სახლში: ყმაწვილები შეზარხოშებულნი არიან; მოხუცნი—მთვრალნი; დედაბრებმა მოიგონეს თავიანთი წარსული, იმასლაათეს—მკვდარი აქეს და ცოცხალი გაქექეს; ქალიშვილებმა ცეკვით იჯერეს გული; ჭრელი თავსაფარი, წითელი ქოლგა ხალხს აჩვენეს, იკასკასეს, იცინეს. ბავშებმა ირბინეს, ბურთი ითამაშეს; მასპინძელმა ოჯახის ბედნიერებით მტერს თვალი დაუყენა და მოყვარეს გული გაუხარა. როცა უკან ჩამორჩენილი ურემი ჩრდილით მიძინებულ ადგილას მოხვდება, ახალგაზრდა, ჩაბალახ—ჩამოფარებული ბიჭი მივარდება ურემთან, ვიღაცას მუჯლუგუნს წაჰკრავს და ჩაუჩურჩულებს:

— მეიწიე აქეთ, ძღაბო;

— გაჩუმდი, დეიდა გეიგონებს....

— ნუ გეშინია, სძინავს. თუ გინდა გეიგონოს,—მაგი ჩემკენაა, საფერისცვალებოთ ისეთი ბაღდათი მოუტანე, სულ იკივლა სიხარულით. მითხრა, მე ვიცი...

— წადი, შე გასაწყვეტო, მომშორდი; აქ სინათლეა:

ბიჭი შორდება რამდენიმე ხნით.

ჩრდილთან ერთად ისიც აჩრდილსავით მიეპარება ურემს.

გოგოს, სანამ მოვიდოდეს, გული მოსდის, სად არის ამდენხანსო.

— ოლიკო...

— ჰო, რა გინდა, რა შემიწვრილე გული?!..

— ი ბიჭი ვინ იყო, შენთან რომ ცეკვავდა?

— ვინ იყო?! რა შენი საქმეა, ვინ იყო?...

— თავს ნუ იგდებ! ვინიყო—მეთქი?—ბიჭმა გოგოს ხელი წაატანა ხელში და მოუჭირა.

— ვინ იყო და ძაან კაი ბიჭი! ოქრომჭედელია.... ბიძიამ მითხრა იმას მიგცემო.... ი! გასკდი გულზე!

— ძაღლმა შემჭამოს, თუ შენც და ისიც საშობო გოჭსავით არ გამოგფატროთ!..—და ბიჭმა ძალზე მიიზიდა გოგო თავისკენ, ხელი კიდევ უფრო მოუჭირა და ჩაეკითხა:

— მართალს ამბობ თუ ხუმრობ?...

მთვარის სინათლემ ისევ გადაკრა მათ.

— ვხუმრობ, ვხუმრობ! ნუ გადირიე—შეგვხედავენ!

— მგზავრების წინ, სულ თავში გოგოს მთვრალი მამა მიდის; ცხენზე აქეთ-იქით ეკეცება და ბუზღუნობს: „ძაან კაი, შენ ნუ მომიკვდე! გვარიანათ ვიქეიფეთ, დავთვრით... ჩემი გოგო იმ ბიჭს მეეწონა.... შეძლებული

F1543

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კაი ხელობის კაცია. ერთი ორი კვირე კიდე და უფსკვნი ჯვარს... და... მოვრჩები ერთ საქმეს“.....

— აბა სიტყვა მომეცი!—მიუახლოვდა ისევ ბიჭი.

— რისი?—თითქოს არ იცისო, იცუღლუტა გოგომ.

— რომ არ მიმტყუნებ, ჩემს მეტს არ ინდომებ...

— ჯერ შენ მომეცი. არა! შემომფიცე!

— შენ თუ გიმტყუნო, დამექცეს ოჯახი. წმინდა გიორგის ლახვარი მომხვდეს!

— შენ მეტს თუ გავყვე, ღმერთი გამიწყრეს, დედა წამიწყდეს...

— აბა ნახვამდის, არ დაგავიწყდეს!—და ბიჭი გადუხვევს გზა—ბოძალში.

ზზადდება დრამა.

— ქაღალდზე კი არ დაიბეჭდება,

— მსახიობები კი არ წარმოადგენენ,

— ცხოვრების ჭრელ დაფაზე შეეტაკებიან ხასიათები;

მოხდება ბრძოლა ნებათა და სურვილთა.

ძალა უფლებაზე მიიტანს იერიშს;

დამარცხებული ვეღარ იხარებს მთვარიან ღამის ჩრდილში.

სერ. კლდიაშვილი

მთვრალ საუბარით.

დღეს ისევ მეგობრებში ვარ.

და, როგორც ყოველთვის, თრობა ფფრად საუბარით.

ო, ეს სიტყვებით დათრობა,—ო ეს საუბარი რჩეულ მეგობრებში.

ის მაღლარხს წვენზე უტკბესი და ძლიერია.

თამბაქოს კვამლი ამძიმებს ოთახს..

აქ, პატარა ოთახში, კვამლით დამთვრალ ოთახში უცხო სამყაროა და ყოველი საათი, ყოველი წუთი ქარავანია ზღაპართა და ქიმერების. ოთახში თრთიან იდუმალი კუთხეები და სცხოვრობენ ლანდები, კედელზე ფრთხილათ რომ დადიან.. ცოცხლდებიან ხავსიანი ქვეყნები და ჰკივიან ჯერ არ ნახული.

დაორთქლილი ფანჯარა საზღვარია ორ სამყაროსი.

კვამლიან ოთახში, სადაც ჩემი მეგობრებია, შესაძლებელია უკვდავება—კვამლიან ოთახში, სადაც ჩემი მეგობრებია, ცოცხლდებიან უცხო ქვეყნები—კვამლიან ოთახში, სადაც ჩემი მეგობრებია, გწამს შეუძლებლობა.

დღეს ისევ მეგობრებში ვარ..

უსაზღვროების მშვიდი თავადი ფერადებით მთვრალ ნაწამებ ოთახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან გაფრინდაშვილი

სტეფან მალარმე.*)

I

მალარმე არასდროს არ ყოფილა პოპულიარული, როგორც მწერალი. მისი აუდიტორია არ იყო დიდი, მაგრამ ის შესდგებოდა პოეტებისაგან, რომელნიც უსმენდენ მას, როგორც სიბილლას მოწიწებით და თრთოლვით. პოეტებმა აიყვანეს ის დიდების განმარტოებულ სიმაღლეზე. მალარმე სწირავდა თავის ლექსებს არა განათლებულ ბრბოს, არა გაჩეთების მკითხველებს; ის სჭედდა თავის სონეტებს მისი კარჩაკეტილ გენიალობის დაუღალავ და ვნებიან თაყვანისმცემელთათვის. მალარმე არასოდეს არ გახდება კლასიკური: ის ყოველოვის გამოიწვევს ფილისტერების გულისწყრომას, რომლებსაც მისჯილი და გადაწყვეტილი აქვთ იაღტაცონ ვულგარული მწერლებით.

ვერლენთან ერთად მალარმე იყო მამათმთავარი ახალი შკოლის ფრანგულ ლიტერატურაში—სიმვოლიური შკოლის. მისმა მრავალმა საუბარმა პოეტებთან, არა ნაკლებ ვიდრე მისმა ნაწერებმა შექმნა ის ნიადაგი, რომელზედაც აყვავდენ შხამიანი ყვავილები ახალ ხელოვნებისა. თავის შემოქმედების დასაწყისში მალარმე იყო პარნასელი და პარნასელების პოეტიკის გავლენით, რომელიც აღიარებს ფორმას, როგორც ერთად ერთ საფუძველს ხელოვნებისას, მალარმე სამუდამოთ დარჩა სტილის რაინდი და სიტყვით აგზნებული. იმ წრეში, რომელიც იკრიბებოდა მალარმეს სალონში, არსებობდა მალარმეს კულტი.

მალარმემ შექმნა სიტყვებიდან კოშკები ულმობელი სითეთრისა. სონეტი, ეს თავადური ფორმა ლექსისა მალარმემ, ვით ჯადოქარმა გადააქცია ამაყ და კეთილშობილ ჩვენებათ. და მალარმეს მაღალი სახელი შეერთებულია გედის წარმოდგენასთან, რომელიც კვდება სონეტის თოვლიან სარკეში. მალარმე იყო „პოეტების მასწავლებელი პოეზიაში". მის მოწაფეებს შეუძლიათ აღმოაჩინონ მის ლექსებში ძიება უდიდესი სტილისტისა, რომელიც სანამ მიანდობდა თავის თავს სიტყვას, ანთავისუფლებდა ამ სიტყვას ყოველდღიურ ცხოვრების სამარცხვინო გავლენისაგან და უკანასკნელად სიტყვები განწმენდილნი, სასჯელთა რკალში გატარებულნი, გამომწვარნი გონების ცეცხლში, იძენდენ საფირონთა და ალმასთა ღირებულებას, რომელთაც მინიჭებული და ნაბრძანები აქვთ იწვოდენ და არ იფერფლებოდენ პოეტურ შემოქმედების სასწაულში.

მალარმეს პოეზია სიმვოლიურია, მაგრამ ის თვითონ იყო გასაოცარი და

*) წაკითხული იყო „ცისფერ ყანწების" საღამოზე ტფილისში 1917 წ. 2 თებერვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგალითო სიმბოლო. მისი არა ვრცელი და არა მდიდარი ბიოგრაფია ზღაპრულია ჩვენთვის, როგორც ბიოგრაფია არტურ რემბოსი, ამ ბარბაროსის, რომელმაც, როგორც ჰანიბალმა თავს დაესხა პოეზიას, გაანადგურა ის და შემდეგ წავიდა თავის მოჩვენებებით გაალებულ უდაბნოში. მალარმეს პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს ოთახს, მაგრამ ეს ოთახი დამშვენებულია მოროს ირიდიადით და იაპონიის ეკზოტიურ ვაზებით. ბუხარი მის პოეზიაში და ცხოვრებაში იყო მომხიბლავი დეტალი, როგორც ყალიონი; წიგნი კი იყო უკანასკნელი ასრულება მისი ოცნებისა. ეს ხომ იმან სთქვა, რომ სამყარო არის გაჩენილი, იმიტომ, რომ დაიწეროს ერთი შესანიშნავი და ღირსეული წიგნი. და მისგან, როგორც სახარებას, მოელოდენ ამ წიგნს, რომელსაც ის სწერდა მთელი თავისი სიცოცხლე. ეს წიგნი არავის არ წაუკითხავს. ის დასწვეს მალარმეს სიკვდილის შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა. შეიძლება ამ წიგნის დაკარგვა უსწორდება ალექსანდრიულ ბიბლიოთეკის დაკარგვას.

მალარმეს ყურადღებას არ იპყრობდა პოლიტიკა და როდესაც მას სთხოვეს გამოეთქვა თავისი აზრი ფრანგების და გერმანელების დაახლოებაზე, რომელიც მაშინ უნდა მომხდარიყო, მალარმემ სთქვა: „ჩემთვის საკმარისია ის, რომ ბოდლერი ითარგმნება გერმანულ ენაზე და ვაგნერს ტაშს უკრავენ პარიზში“. ის ახლა არ იტყოდა ამას, მაგრამ მისი სიტყვები მაინც საგულისხმოა.

II

მალარმეს უყვარდა ლათინურ დეკადანსის პოეტები, რომელნიც ენათესავებოდენ მას ფორმის და შთაბეჭდილებათა შემოდგომის კულტით. დაისი და შემოდგომა — აი ორი მომენტი, რომელნიც დიდ ხანს შეადგენდენ მალარმეს იდეალს. მაგრამ არსად არ იფეთქებს ისეთი ძლიერებით ზამთრის ალი, როგორც „გედში“, რომელიც არის დამაბრმავებელი ნირვანა თეთრი წყვდიადისა. მალარმე უფრო ადრე ეხმაურებოდა შემოდგომის მეწამულ აგონიას, ცეცხლ მოკიდებულ ხეებს, უიმედო ჰეივნებს, მაგრამ შემდეგ მან უარყო დილის და შუადღის ვარდისფერი ბრწყინვალება, რადგანაც ის მიიზიდა თეთრმა ფერმა, რომელშიდაც უფრო ნათლად აისახა მისი დენდიზმი, მისი ამპარტავანი სევდა. აქამდის გაურკვეველი გამოცანა—მალარმე ნახულობდა თავის ოცნებისთვის სამოსს თითქმის უხილავს, გამჭვირვალეს და ლანდურს. ჩვენთვის განსაკუთრებით არის ძვირფასი ის ლექსები, რომელნიც არ არიან მისაწვდომი ვულგარულ გაგებისათვის და იწვევენ შიშს, როგორც უცხო ეროგლიფები. მისი ლექსები—ხშირად მოკლებულნი მძიმეებს და წერტილებს თითქოს არიან ფრაგმენტები, თითქოს ჩვენს წინ იშლებიან შეწყვეტილ ორგიათა და განთიადთა ოაზები. ვიაჩესლავ ივანოვმა აღნიშნა მხატვარ ჩურლიანისის სურათებში გაბატონება სწორი ვერტიკალური ხაზისა, რომელიც მუდამ ცისკენ არის ამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული; მე ავნიშნავ მალარმეს პოეზიაში თეთრი ფერის უპირატესობას. ოეთრ ფერს მალარმემდისაც ყავდა მოტრფიალე. გავიხსენოთ ტეოფილ გოტიეს ლექსი—სიმფონია ღია ფერისა. მაგრამ გოტიეს პოეზიაში, თუმცა ის პარნასელია, ეს ფერი არ არის გავრცელებული მთელ მის ლირიკაზე, მალარმეს შემოქმედება კი არის დაბურვილი ამ ფერით, როგორც უნაზესი პუდრით.

მალარმე ქანდაკებრივია. როდენმა—თანამედროვე ქანდაკების ფიდიასმა—იგრძნო და დააფასა მასში მოქანდაკე, როდესაც სთქვა მალარმეს გასვენებაზე: „ბუნებას ბევრი დააგვიანდება, სანამ ის კიდევ შექმნის ამისთანა ქალას". ბალეტში მოცეკვავემ ნიჟინსკიმ განახორციელა მისი ფავნი, ნიმფებს რომ სდევნის ვნებიანი თავდავიწყებით. „ფავნის ნაშუადღევის მოსვენებაში", რომელიც რჩება ხსოვნაში, როგორც უსპეტაკესი ქანდაკება, მალარმემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ოცნების ძლიერება. ეს ოცნება, რომ წარსული დაიბრუნოს, სძლევს აწმყოს და მასში ამეფებს სასურველ ზმანებათა ცხადებას.

მალარმემ შექმნა ოთახის ესთეტიკა. რასაკვირველია ოთახის თვალსაჩინო კათეგორია არის სარკე. შეიძლება მალარმე არის პირველი პოეტი, რომელმაც მიაქცია ყურადღება სარკეს, როგორც შემოქმედების საგანს და მალარმემ მოგვცა სარკის პოეზია. სარკე ხომ უდიდესი სიმბოლოა ჩვენი ყოფნისა. არაფერი ისე მისტიურად არ გამოხატავს ჩვენი ყოფნის ლანდურობას, ჩვენს ორობას, ჩვენს კავშირს წარსულთან და მომავალთან, როგორც სარკე. აი ციტატა მალარმეს: „ზამთრის კანკალიდან": ის ელაპარაკება ქალს: „ვინ იხედებოდა შენს ვენეციურ სარკეში, რომელიც ღრმაა, როგორც გრილი წყაროო, დატყვევებულია გველივით დაკლაკნილ ნაპირებში გახუნებულ ოქროთი. მე მრწამს, რომ არა ერთმა დედაკაცმა ჩაასვენა ამ წყაროში თავის სილამაზის ცოდვა და დიდხანს რომ ჩავუკვირდე, მე დავინახავდი ტიტველ აჩრდილს". აი როგორი სიტყვებით მიმართავს სარკეს მალარმეს ეროდიადა: „ო, ცივი სარკე! უფერო წყალი, ეს ბროლის სევდა, მომწყვდეული გაყინულ რკალში, ო მეტად ხშირად უნუგეშო, მრავალი ხანი, მე დაღალული სიზმრებისგან, მდომი ოცნების, რომ ჩაითენთა ვით ფოთლები შენ წყლის უფსკრულში, მე გამოვკრთოდი შენ სიღრმიდან ობოლ ჩვენებათ. ო, დაისის დროს შენი ლურჯი წყლების სიღრმეში ვიგრძენი ტიტველ ოცნებათა ამაოება".

მალარმემ უაილდზე უფრო ადრე შეიყვარა ნივთები და ამხილა მათი ინტიმური რაობა. მალარმემ გაიგონა თეთრი ქვითინი სერაბიმთა და აქაც ვნახულობთ ჩვენ სერაბიმთა ვიოლებში და მიზრაფებში მალარმესათვის ტიპიურ სითეთრეს. ქალწულობის და ზამთრის სითეთრე კიდევ ერთხელ გვატყვევებს ჩვენ „ეროდიადაში". ამ პოემაში ხომ ყველა ფიქრები და ოცნებები იფრქვევა თოვლიან სარკეში და „მოქმედება" სწარმოებს მხოლოდ მინაში. თვით მალარმეს პორტრეტი, მისი დათოვილი სახე იძლევა სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრის შთაბეჭდილებას. ეს არ არის როდენბახის სანტიმენტალური სითეთრე, მთვარემ რომ დაბადა თავისი საუკუნო სევდით. ეს არის სითეთრე ზამთრის, სარკისა და ქანდაკების. ეს სითეთრე არის სიმბოლო უმაღლესი სულიერი ძლიერებისა, ეს სითეთრე არის ნირვანა, რომელშიდაც პოეტს უნდა გაანცალკევოს თავისი სული. აქ სითეთრე მხოლოდ სახეა რჩეული უკვდავების. ბრწყინვალე და ქალწულ ზამბახებში გვევლინება ჩვენ მალარმე, როგორც ბრძენი, სიტყვების მესაიდუმლე, სიმბოლოს ქურუმი და ჩვენ გვიყვარს ეს ამაყი აჩრდილი.

III.

მალარმე ლოცულობს იზიდისათვის, მოხიბლული იმით, რომ ვერასოდეს ვერ დაინახავს მის ღვთაებრივ სახეს, რომ მას შეუძლია მუდამ იოცნებოს მასზე და მორცხვათ გადაშალოს მისი სამოსის ხვეულები, როგორც გრძნეულ ყელსაბამის ქვები, როგორც სიმები ჭიანურისა, უქამანჩოთ რომ ქვითინებს. იდუმალება—ეს მარად ქალწულებრივი იზიდა—თითქოს მადლობელი იყო მალარმესი, რომ ის ასე ფრთხილად ეხებოდა მას, ანანავებდა მას თავის ოცნებაში და იდუმალებამ მისცა თავისი თავი მალარმეს საამბოროთ. თავის თეორიაში და თავის ლექსებში მალარმე იყო მცველი და მთრთოლვარე პაჟი ამ იდუმალების. ის არასდროს არ გვაჩვენებს თავის მუზას, ის წინააღმდეგია სიცხადის და მეტად უმადურნი უნდა წავიდენ ამ ტაძრიდან, სადაც ღმერთების ყოფნა საგრძნობელია არა ყველასათვის.

მალარმემ უარყო პოეზიაში აღწერილობა და მოთხრობა, მაგრამ არც ერთს მგოსანს არ უმუშავნია ეპიტეტზე ისე, როგორც მალარმეს. შეიძლება მალარმემ პირველად აგრძნობინა პოეტებს ეპიტეტის დიდი მნიშვნელობა. ეპიტეტი საღებავია საგნის და რამდენად ეს ეპიტეტი უფრო ღრმაა და შინაარსიანი, იმდენად შემოქმედება უზრუნველყოფილია დროისაგან. გიუისმანსის გმირი დეზესენტი ოცნებობს იმისთანა ეპიტეტის შექმნაზე, რომელსაც შეუძლია მთელი თვეები აქანავოს სული სხვა და სხვა მოგონებებში. სიმვოლიური ეპიტეტი არა გავს რეალისტურ ეპიტეტს, რომელიც ყოველთვის გენსაზღვრული და მცირე მისსიით გამოდის პოეზიის საჯირითოზე. რეალიზმი არის უხეში ანარეკლი სინამდვილის, სიმვოლიზმი კი არის ქმედითი ფერისცვალება ქვეყნიერებისა, როგორც ესთეტიურ ფენომენის, როგორც სიმბოლოსი, რომელიც მოითხოვს შთაგონებულ გამოცნობას. მალარმე აზროვნობს სიმვოლებით, რომელნიც, როგორც გრძნეული სარკეები იძლევიან სინამდვილის უამარ სახეებს. სახე ყოველთვის ერთია, სიმბოლო კი მრავალსახიანი, მისი შინაარსი უძირო და ამოუწურავი, რაც სიმბოლოს აძლევს ცხად უპირატესობას, როგორც პოეტურ შემოქმედების მეტოდს. უაილდმა სთქვა: სიძულვილი საზოგადოებისა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამედროვე ხელოვნებისადმი არის კალიბანის გახელება, რომელიც ხელოვნების სარკეში იხედება და მასში თავის თავს ვერ ნახულობს. მალარმე იყო ბრწყინვალე იმპროვიზატორი თავისი ოცნების და ცხოვრება, როგორც უვარგისი სუფლიორი სამუდამოთ უარყოფილი იქნა პოეტისაგან. სიმვოლიზმი არის ძიება და ნახვა იმ გარმონიულ პარალელებისა, რომელნიც პირველად აღიარა ბოდლერმა თავის „შესაბამებაში". მალარმემ ნახა თავისი ოცნების ცხადსაყოფათ სიტყვათა ახალი დასი, დაუზოგავ სიმბოლოთა სინტეზი. მისი ლექსების მოელვარე კოშკებში და ობელისკებში სიტყვები, როგორც ნიღაბიანი ბრილიანტები და ოპალები ამაყობენ ერთმანეთის სხივებით, ერთი სიმვოლიური სახე იხედება მეორეში, სანამ მთელი სიმბოლო არ აიმართება ცაში, როგორც „ფეერიული სობორო". მალარმეს სიმბოლო არ არის ალეგორია და უბრალო კალეიდოსკოპი. სიმვოლისტებმა შექმნეს პოეზიაში პერსპეკტივა, პერსპეკტივა მარადისობისა, კლასიკური პოეტები კი ახლო იდგენ თავის შემოქმედების საგანთან და შეგნებულად არ განიშორებდენ მას. ჭეშმარიტ ხელოვნებაში კი გადამწყვეტ როლს თამაშობს მანძილის და ჟამის პათოსი. ჭეშმარიტ სიმვოლისტს სწამს მომენტები დროთა და სივრცეთა გადადგმისა, მას სწამს, რომ ერთ უსახელო ამბორში არის მთელი სიბრძნე ქვეყნისა და ერთ საღამოში მიცვალებულ პრინცესების და ვარსკვლავების ოხვრა.

IV.

როგორც ფლობერი, მალარმე არის მოწამე სიტყვისა და მესაიდუმლე. მან შექმნა „მისტიკა" და ფანტასტიკა სტილისა. გამოუთქმელი აზრი სდევნიდა მალარმეს, რომ მთელი მსოფლიოს იდუმალება დამარხულია სიტყვის სამკაულში. მალარმე ყოველთვის იყო სიტყვის მთვარეული, სიტყვის მონა და ბატონი. მალარმეს შეეძლო მოეჯადოვებია და აელაგმა სიტყვა, როგორც ფაფარაყრილი მხეცი. მის სიტყვაში, რომელიც უფრო ხშირად პლასტიური იყო, სახეები ინაკვთებოდენ ნისლებით და ლაჟვარდებით. სიმვოლისტებშიც განმარტოებულია მალარმე, როგორც სტილისტი და სიტყვის კავალერი. ის ჯაშუშია სიტყვების; როგორც არაბს მას უნდა ყოველი კეკლუცი სიტყვა მოაქციოს თავის სასროლში, დაამწყვდიოს ის დაფერფლილ რითმების ცისფერ სატუსაღოში. შეიძლება სიტყვები ხანდახან ღალატობდენ თავის კავალერს, მაგრამ ლიტერატურა აღტაცებით მოიგონებს ამ სულთანს, რომელმაც შეიყვანა პოეზიის არამხანაში მრავალი სიტყვები. სიტყვის და ლაპარაკის მეფე ლექსების გარდა სწერდა მინიატიურებს. ეს პოემები პროზათ ბოდლერის ამდაგვარ პოემებზე მაღლა სდგანან. აქ მოწაფე იმარჯვებს მასწავლებელზე. ცნობილია დამოკიდებულება მალარმეს ბოდლერიდან. აი პარალელები: ალბატროსი— გედი, ჰიმნი სილამაზეს —ეროდიადა, ბოდლერის შუშის პეიზაჟი და მალარმეს ფან-

ჯრები. მაგრამ გიუისმანსის სიტყვით მალარმე არის კვინტესენცია ბოდლერის და ედგარ პოეს. მალარმეს პოეზიაში ბოდლერის კოშმარი დაიწმინდა და ავიდა იმ სიმაღლეზე, საიდანაც იყურებიან მარმარილოს ვენერები და აპოლონები.

მალარმე, ვით ჯავაირი მთელი თავისი სიცოცხლე სჭედდა ძვირფას ქვებს და იგონებდა მათ. ამის გარდა ის იყო იდეალური ჭურუმი და იცავდა ხელოვნების სიწმინდეს ქუჩის თავდასხმიდან; ხელოვნება, რომელიც დაამცირეს ნატურალისტებმა, მან გახადა რელიგიურ გალმერთების საგნად, ოლიმპათ, რომელზედაც სხედან მხოლოდ რჩეულნი, დაგვირგვინებულნი დიდების ეკლიან გვირგვინებით.

მალარმეს პოეზია დაუთავებელია, მის ლაბარატორიაში ბევრი ნანგრევებია, რომელნიც გვირჩევნია ჩვენ ბევრ დამთავრებულ ძეგლებს. მისი პოეზია, როგორც ვენერა მილოსელი მოტეხილ ხელით გვიხმობს მარადისობისაკენ და ამეფებს ჩვენ სულში უკვდავების წყურვილს.

1917 წ. იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეოცნებე ნიამორების
გ ა მ ო ც ე მ ა:

„მეოცნებე ნიამორები“—წიგნი პირველი ფ. 5 მან.
სტეფან მალარმე—„ლექსები და პროზა ფ. 15 მან.
„მეოცნებე ნიამორები“—წიგნი მეორე ფ. 5 მან.

წ ი გ ნ ი ს
გამოგამცემლობა **პირჩხიბი**

იგეგმება და გამოვა:

ვალერიან გაფრინდაშვილი—„დაისები“—წიგნი ლექსების.
კოლაუ ნადირაძე—„ავზნიანი ქალაქი“.
ახალი პოეზიის ანთოლოგია.

F 642/2
1919

ფასი 6 მან.